ოქმი:**ო03.37221401**

თარიღი:**20/05/2022**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 20 მაისი

ქ.ოზურგეთი

14.00-14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: რ. დუმბაძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, ლ. ბიგვავა, გ. შარაშენიძე, ბ. მელუა, ნ. ღაჟონია, მ. ვაშალომიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის თაობაზე.

   მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის პირველი კვარტლის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების შესახებ, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში - კონკრეტული მუხლების მიხედვით, აღინიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების დინამიკა შემოსავლების ნაწილში დადებითია, წლის ფისკალური გეგმის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება, ხარვეზია მხოლოდ ქონების გადასახადის შესრულების საკითხში. მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენა, განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე, კომისიის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვა ხდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, სულ გახარჯულია 33 ათასი ლარი, შემდეგ კონკრეტულად დაასახელა თანხების განკარგვის მიმართულებები.

კომისიის წევრმა, რ. დუმბაძემ, გამოთქვა აზრი ბიუჯეტიდან 50% -ით დაეფინანსებინათ იმ მაღალი აკადემიური მოსწრების მგონე სტუდენტების სწავლის გადასახადი, რომელთა ოჯახებს არ ააქვთ სწავლის საფასურის დაფარვის შესაძლებლობა და ვერ აგრძელებენ სწავლას. განუმარტეს, რომ ბიუჯეტის არსებული შემოსვლებით ამ ხარჯის გაწევა შეუძლებელია, გამონაკლისი შემთხვევების გარდა. მომავალში ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ზრდის კვალობაზე შესაძლებელია მისი განხორციელება. კომისიის წევრებმა ანგარიში მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის პირველი კვარტლის ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი